**საქართველოს საპატრიარქოს**
**საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში**

2025 წლის მანძილზე ფონდმა „ლაზარემ“ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობისთვის განახორციელა ორი პროექტი: **„ახალგაზრდები მშვიდობისათვის“** (ქართველი, აფხაზი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების, მასწავლებლების, მოსწავლეების და სასულერო პირების მონაწილეობით; **დონორი:** საქართველოს საპატრიარქო, შვეიცარიის ეკლესიის დახმარების ფონდი HEKS-EPER) და **„ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“** (ქართველი და ოსი ახალგაზრდების, მასწავლებლების და მოსწავლეების ჩართულობით; **დონორი:** საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო).

პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიმართულებით  კი ფონდის მიერ, თბილისსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაფუძნებულ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრებში, ასევე განხორციელდა **სოფლის მეურნეობისა და სახელობო სწავლების** ორი პროექტი.

გარდა ამისა  ფონდმა ,,ლაზარემ“ ორგანიზება გაუკეთა არაფორმალური საგანმანათლებლო მიმართულების მოკლევადიან  პროექტებს.

## პროექტი „ახალგაზრდები მშვიდობისათვის“

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

### 1. მოკლე შეჯამება

ეს ანგარიში აჯამებს პროექტის „ახალგაზრდები მშვიდობისთვის“ შედეგებსა და მიღწევებს, რომლის მიზანიც, მოტივირებულ ახალგაზრდებში კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ტოლერანტობისა და მშვიდობის მაძიებელი ქცევის ხელშეწყობაა.

საანგარიშო პერიოდში ფონდი „ლაზარე“ პროექტში, ფოკუსირებული იყო შემდეგ ძირითად მიმართულებაზე: საზაფხულო ბანაკების ლიდერთა ტრენინგები, ახალგაზრდული გაცვლები (საზაფხულო ბანაკები), თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციასთან მასწავლებლებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის (CT) კურსების მიწოდებით, სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირთა შეხვედრები სამშვიდობო თემატიკაზე.

პროექტმა წარმატებით მიაღწია თავის პირველ მოსალოდნელ შედეგს: ახალგაზრდების მოტივირებას კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ტოლერანტობისა და ეთნიკური სტერეოტიპების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით. ეს მიღწეულ იქნა ყოვლისმომცველი მიდგომით, რომელიც მოიცავდა ტრენინგებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებსა და კონფლიქტთან დაკავშირებულ თემებზე მუშაობას. ლიდერების ტრენინგის პროგრამამ ეფექტურად აღჭურვა ახალგაზრდა ლიდერები ლიდერობის, ფასილიტაციისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის საჭირო უნარებითა და ცოდნით. საქართველოში გამართულ ტრენინგს დაესწრო 16 ახალგაზრდა. გამოცდილი ტრენერების ხელმძღვანელობით. სესიაზე განხილილ იქნა ისეთი თემები, როგორებიცაა ეფექტური კომუნიკაცია, ჯგუფის დინამიკა, კონფლიქტის დეესკალაცია და მედიაციის სტრატეგიები. მონაწილეებმა მოისმინეს ექსპერტი ტრენერებისა და მათი თანატოლების შეხედულებები, შექმნეს ინტერაქტიული და საინტერესო სასწავლო გარემო. ტრენინგების შემდეგ წარმატებით მოეწყო ორი ახალგაზრდული გაცვლა საქართველოსა და სომხეთში, სადაც 60-ზე მეტი ახალგაზრდა გაერთიანდა. ამ პროგრამებმა უზრუნველყო ღირებული პლატფორმა მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი დიალოგის დასაწყებად, კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და მშვიდობის დამყარებისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციაში ჩატარდა მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამა „მშვიდობის განათლება და მშვიდობის კულტურა“, რომელიც ფოკუსირებული იყო კონფლიქტისადმი მგრძნობიარე მიდგომებზე, კულტურულ ნარატივებზე და განათლების როლზე მშვიდობის ხელშეწყობაში. სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მონაწილეები, წარმოშობით სხვადასხვა რეგიონიდან, ჩართულნი იყვნენ დისკუსიებში, მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი პერსპექტივები და შეისწავლეს სამშვიდობო განათლების სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების სტრატეგიები. ტრენინგმა აჩვენა კონფლიქტების მგრძნობელობის გაზრდისა და პედაგოგებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობის პოტენციალი.

ასევე, ბობოყვათში, მშვიდობისა და თანაცხოვრების საკითხის განსახილველად, შეიკრიბა შვიდი რელიგიური ლიდერი, მათ შორის მართლმადიდებელი ქრისტიანები, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები და მუსულმანები. ამ რელიგიათა დიალოგმა შექმნა სივრცე ღია საუბრებისთვის, ურთიერთგაგების ხელშეწყობისა და საზოგადოების

პოლარიზაციის შესახებ, ხაზს უსვამს რელიგიურ ლიდერთა როლს თავიანთ თემებში მშვიდობის ხელშეწყობაში.

დასასრულს, პროექტმა ახალგაზრდობა მშვიდობისთვის წარმატებით მიაღწია მოსალოდნელ შედეგებს ახალგაზრდა ლიდერებისა და მასწავლებლების აუცილებელი უნარებით აღჭურვით, ახალგაზრდების ცნობიერებისა და შესაძლებლობების გაძლიერებითა და კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ დისკუსიების ხელშეწყობით. პროექტის მრავალფეროვანმა აქტივობებმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეგიონის ახალგაზრდებში ტოლერანტობის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის მაძიებელი ქცევის ხელშეწყობაში.

## შედეგები, ცვლილებები და პროგრესი

### მიღწეული შედეგები

პროექტმა წარმატებით ჩართო ახალგაზრდა ადამიანები და პედაგოგები სომხეთიდან და საქართველოდან, გააძლიერა მათი ცოდნა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის შესახებ.

### ძირითადი მიღწევები:

ლიდერების ტრენინგი: 16 ახალგაზრდა ლიდერი (6 ქართველი, 6 სომეხი, 2 აფხაზეთიდან, 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი მარნეულიდან) მონაწილეობდა ტრენინგში ბობოყვათში, საქართველოში 95%-მა გამოავლინა ლიდერობისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს ლიდერები წარუზღვნენ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამებს საქართველოსა და სომხეთში.

**ახალგაზრდული გაცვლები:** 64 მონაწილე (32 საქართველოში, 32 სომხეთში) ჩაერთო ინტერაქციულ აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობდნენ სოციალურ ერთიანობას, ინკლუზიასა და არაძალადობრივ კომუნიკაციას. პროგრამები ჩატარდა ჰერმონში (4-13 აგვისტო) და ბობოყვათში (19-28 აგვისტო).

**მასწავლებელთა ტრენინგი:** 12-მა მასწავლებელმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული ზონებიდან, აფხაზეთი, გალის მუნიციპალიტეტი) გაიარა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის განათლების კურსი. 90%-მა გაამყარა კონფლიქტის მართვის ძირითადი პრინციპების ცოდნა, ხოლო 80%-მა მიიღო შესაბამისი უნარები ამ ცოდნის სკოლის გარემოში დანერგვისთვის.

**საეკლესიო ლიდერების ჩართულობა:** შვიდმა რელიგიურმა ლიდერმა მონაწილეობა მიიღო სემინარებში, რომლებიც მშვიდობის მშენებლობის საკითხებს ეხებოდა. მათ დაწერეს ესეები თემაზე „რელიგიური ლიდერების როლი საზოგადოების მშვიდობის მშენებლობაში“.

### მოულოდნელი შედეგები და ცვლილებები

გაცვლითი პროგრამების დროს, გარემოს დაცვაზე ზრუნვის მიზნით, მონაწილეებს დაურიგდათ მრავალჯერადი გამოყენების პლასტმასის ბოთლები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ნარჩენების რაოდენობას. მონაწილეებმა ეს ინიციატივა დადებითად შეაფასეს და ბოთლების გამოყენება ღონისძიების დასრულების შემდეგაც გააგრძელეს. ასევე ჩატარდა მოკლე სესია გარემოს დაცვაზე და პლასტმასის ნარჩენების გავლენაზე.

### ძირითადი აქტივობების პროგრესი

მიუხედავად გამოწვევებისა, ყველა დაგეგმილი ღონისძიება წარმატებით განხორციელდა, რის შედეგადაც გაძლიერდა ახალგაზრდული ლიდერობა, ეთნოკულტურული დიალოგი და მშვიდობის განათლება. პროექტმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საზოგადოების ჩართულობა და ხელი შეუწყო კონფლიქტების ტრანსფორმაციის მდგრად პროცესს რეგიონში.

## 2. პროექტის ძირითადი აქტივობები

### აქტივობა 1. ლიდერთა ტრენინგი

ლიდერთა ტრენინგის პროგრამა მიზნად ისახავდა ლიდერობისა და ფასილიტაციის უნარების განვითარებას, ასევე კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მედიაციის სტრატეგიების სწავლას. ტრენინგი ჩატარდა საქართველოში, სადაც გამოცდილმა ტრენერებმა განახორციელეს სხვადასხვა სასწავლო მოდული.

### ტრენერთა შერჩევა

ფონდმა ლაზარემ, ლიდერთა და კონფლიქტის ტარნსფორმაციის ტერენინგისთვის შეიმუშავა ტრენერების შერჩევის პირობები. მიღებული განაცხადებისა და რეზიუმეების საფუძველზე, საქართველოსთვის შეირჩა სამი ტრენერი, რომლებსაც აქვთ 25+ წლიანი გამოცდილება. ისინი უკვე შვიდი წელია მუშაობენ პროექტში ახალგაზრდები მშვიდობისათვის და მუდმივად იღებენ პოზიტიურ გამოხმაურებებს.

### მონაწილეთა შერჩევა

ლიდერების შესარჩევად მომზადდა ინსტრუქციის პაკეტი და გამოცხადდა ღია კონკურსი. გასაუბრებები ონლაინ, Zoom პლატფორმის საშუალებით ჩატარდა. შერჩევის შედეგად, ოთხმა პარტნიორმა ორგანიზაციამ 16 ახალგაზრდა ლიდერი აირჩია:

- 6 ქართველი თბილისიდან და სამეგრელოდან (23-25 წლის, ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტები);
- 6 სომეხი;
- 2 მონაწილე გალიდან;
- 2 ეთნიკურად აზერბაიჯანელი მარნეულიდან.

ტრენინგი საქართველოში ჩატარდა 21-27 ივნისს და ორ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: **ლიდერობა და ფასილიტაცია** და **კონფლიქტის მედიაცია და ტრანსფორმაცია**.

**ლიდერობისა და ფასილიტაციის ტრენინგი:**

- ეფექტური კომუნიკაცია, აქტიური მოსმენა, ემოციების მართვა და თვითდაჯერებულობა;
- ჯგუფური დინამიკის სწორად წარმართვა და რთული მონაწილეების მართვა;
- ფასილიტატორის როლი პროცესის წარმართვაში;
- ჯგუფთან მუშაობის ტექნიკური დეტალები;
- ჯგუფის გადაწყვეტილების მიღების მეთოდები.

**კონფლიქტის მედიაციისა და ტრანსფორმაციის ტრენინგი:**

- კონფლიქტის არსი, მისი წყაროები და ტიპები;
- კონფლიქტის ესკალაციის ფაქტორები;
- კონსტრუქციული და დესტრუქციული შედეგების გარჩევა;
- კონფლიქტის მედიაციის სტრატეგიები;
- თანამშრომლობა /კონკურენცია კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში;
- მოლაპარაკებების პროცესი და მედიაციის ტექნიკები.

**ტრენინგის მეთოდოლოგია**

ტრენინგი არაფორმალური განათლების მეთოდებზე იყო აგებული და მოიცავდა როლურ თამაშებს, ჯგუფურ მუშაობას, სიმულაციურ აქტივობებს, დისკუსიებსა და ანალიზს. სამუშაო ენა იყო ქართული.

მონაწილეებმა შეისწავლეს ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რაც მათ *ახალგაზრდულ გაცვლებში* დასჭირდებათ. ტრენერები ყურადღებას ამახვილებდნენ გუნდური მუშაობის განვითარებასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე. ტრენინგი წარმატებით განხორციელდა, ხოლო მონაწილეებმა შეიძინეს ლიდერობისა და კონფლიქტების მართვის საჭირო უნარები.

## აქტივობა 2. ახალგაზრდული გაცვლები

ორი *ახალგაზრდული გაცვლა* (YE) განხორციელდა საქართველოში და სომხეთში:

- **4-13 აგვისტო, ჰერმონი, სომხეთი** - 16 ქართველი და 16 სომეხი მონაწილე.
- **19-28 აგვისტო, აგვისტო, ბობოყვათი, საქართველო** - 8 ქართველი, 8 აფხაზი, 8 სომეხი, 8 ეთნიკური აზერბაიჯანელი მარნეულიდან.

**პროგრამის მთავარი კომპონენტები:**

- **დილით სპორტული აქტივობები** - ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
- **ინტერაქტიული ტრენინგები კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე** - დისკუსიები სტერეოტიპებზე, დისკრიმინაციაზე და მრავალფეროვნებაზე;
- **ენისა და კულტურული გაცვლა** - მონაწილეები სწავლობდნენ ერთმანეთის ენაზე ელემენტარულ ფრაზებს და ცვლიდნენ კულტურულ ტრადიციებს;
- **შემოქმედებითი საღამოები** - ჯგუფური სპექტაკლები, პოეზია, ტრადიციული სიმღერები და ცეკვები;
- **სპორტული და ინტელექტუალური თამაშები** - შერეული ეთნიკური გუნდებით.

**გაცვლითი პროგრამების შედეგები:**

- მონაწილეებმა განივითარეს **მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარები**;
- ჩამოყალიბდა **ახალი მეგობრული ურთიერთობები** ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის;
- 85%-მა გამოთქვა მაღალი კმაყოფილება პროგრამის აქტივობებით;
- **სასიცოცხლო მნიშვნელობის ცოდნა**: სტერეოტიპების დაძლევა, ინკლუზიურობა, თანამშრომლობა.

ახალგაზრდული გაცვლის დასრულების შემდეგ ჩატარდა **ფინალური შეფასება**, სადაც მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს პროგრამის პოზიტიური გავლენა.

**აქტივობა 3. მასწავლებლების ტრენინგი**

- **თარიღი და ლოკაცია:** 2025 წლის 5-7 ივნისი , ბობოყვათი

- **მონაწილეები:**

- 12 მასწავლებელი თბილისიდან და საქათველოს სხვადასხვა რეგიონებიდან;

- ჯგუფი მხოლოდ ქალებისგან შედგებოდა, რაც დამახასიათებელია ამ პროფესიული სექტორისთვის;
- ასაკობრივი ჯგუფი – შერეული.

**პროფესიული კვალიფიკაცია:**

- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები;
- ქართული როგორც მეორე ენის მასწავლებლები;
- გეოგრაფიის მასწავლებლები;
- ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები;
- დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

**ეთნიკური მრავალფეროვნება:**

- ქართველები და ეთნიკურად აზერბაიჯანელები;
- ზოგიერთი მონაწილე მონოეთნიკური რეგიონებიდან.

**ტრენინგის მიზნები:**

- მშვიდობის განათლებისა და მშვიდობის კულტურის ურთიერთკავშირის გააზრება;
- კონფლიქტების მიმართ საზოგადოების მგრძნობელობის შესწავლა;
- მშვიდობის, კონფლიქტისა და განათლების როლის განხილვა;
- სტერეოტიპული მიდგომების, სუბიექტური რეალობის, ფაქტების, აღქმებისა და ნარატივების ანალიზი სასკოლო გარემოში;
- განსხვავებული პერსპექტივების გათვალისწინებით რეალური სურათის შექმნა;
- მშვიდობის კულტურის სასკოლო პროგრამებში ინტეგრაციის გზების განსაზღვრა.

**სასწავლო მეთოდები:**

- ინტერაქტიული მიდგომა (მინი-ლექციები და დისკუსიები);
- დილემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ფილმების გამოყენება სასწავლო რესურსად;
- ჯგუფური სამუშაოები;
- პრეზენტაციისა და დისკუსიის ტექნიკები.

**მონაწილეთა ჩართულობა და გამოწვევები:**

- მასწავლებლები მაღალი მოტივაციით გამოირჩეოდნენ, თუმცა აქტიურობის დონე განსხვავებული იყო;

- ტრენინგის დასაწყისში აზერბაიჯანელ მონაწილეებს უჭირდათ ქართულად აზრის გამოხატვა, მაგრამ ინტერაქტიული სავარჯიშოებით და ჯგუფური მუშაობით ეს ბარიერი დაიძლია;
- ტრენინგის მასალებისადმი ინტერესი მაღალი იყო, თუმცა სიღრმისეული გააზრების დონე საშუალო;
- სასკოლო პრაქტიკიდან მაგალითების გაზიარების მზაობა ეტაპობრივად გაიზარდა;
- მონაწილეები მზად იყვნენ გადაეხედათ თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკისთვის.

**ძირითადი დაკვირვებები:**

- მონოეთნიკური რეგიონების მასწავლებლებს ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან პროფესიული ურთიერთქმედების მხრივ;
- აღინიშნა სხვადასხვა რეგიონში არსებული საგანმანათლებლო გამოწვევების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი დაინტერესებაც გამოიხატა;
- შერეული ჯგუფებით მუშაობა ხელს უწყობს მასწავლებლებისათვის მრავალკულტურული კონტექსტის უკეთ აღქმას.

**აქტივობა 4. რელიგიური ლიდერების შეხვედრა**

**თარიღი და ლოკაცია:** 2025 წლის 16-18 სექტემბერი, ბობოყვათი

**მონაწილეები:**

- შვიდი რელიგიური ლიდერი სხვადასხვა კონფესიიდან (მართლმადიდებელი ქრისტიანები, სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები, მუსულმანები)
- შეხვედრა იყო მესამე ეტაპი საერთო მუშაობის პროცესში და ფოკუსირებული იყო თემთა შორის ნდობისა და მშვიდობის განმტკიცებაზე.

**სემინარის თემები და განხილვები:**

**მშვიდობის მშენებლობა და ტრავმის დაძლევა**

- რელიგიური ლიდერების როლი შიშისა და ტრავმის შემცირებაში;
- ემოციური მდგრადობისა და ეთიკური საზღვრების დაცვის სტრატეგიები.

**კომუნიკაცია და დეზინფორმაცია**

- დეზინფორმაციის გავლენა მოწყვლად ჯგუფებზე;
- მედიისა და სოციალური პლატფორმების როლი უნდობლობის გაძლიერებაში;
- ინფორმირებული და პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაციის მნიშვნელობა.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

### სასულიერო პირის როლი საზოგადოებაში

- სასულიერო პირების, როგორც შუამავლებისა და მრჩევლების ფუნქცია;
- სხვადასხვა კონფესიის წარმოდგენილი შეხედულებები რელიგიის სუპრანაციონალურ ბუნებაზე.

### ახალგაზრდობა და განათლება

- ახალგაზრდების რელიგიური ინსტიტუტებისგან გაუცხოების მიზეზები;
- სასულიერო პირების საჭიროება, იყვნენ მრავალპერსპექტიული მოაზროვნეები და თანამედროვე მენტორები.

### სამოქალაქო თვითმყოფადობა და ინკლუზია

- უმცირესობებში სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერების გზები;
- მუსლიმი თემების ჩართულობის დაბალი დონე და საჭიროებები.

### პრაქტიკული მიდგომები მშვიდობის მშენებლობაში

- ისტორიის გაზიარება, კულტურული ღონისძიებები, ინტერფაით დისკუსიები

### მშვიდობის განათლების მოდულის შემუშავება

### მოდულის მიზნები:

- რელიგიურ ჯგუფებს შორის ნდობის გაძლიერება;
- კონფლიქტების გადაჭრისა და ტრავმის დაძლევის ინსტრუმენტების გაცნობა;
- დეზინფორმაციის, სტერეოტიპებისა და გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- სასულიერო პირების როლის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობაში.

### მოდულის სავარჯიშოები:

- პირადი ისტორიების გაზიარება მშვიდობიანი კონფლიქტების მოგვარების შესახებ
- კონფლიქტების რუკის შედგენა და ანალიზი
- კულტურული და რელიგიური გაცვლითი აქტივობები

### დასკვნა და შემდგომი ნაბიჯები:

- სასულიერო პირები მზად არიან აქტიური მშვიდობის მშენებლობისთვის;
- დაიგეგმა შემდგომი დისკუსიები და ინიციატივები;
- მონაწილეები დაწერენ ესეებს, რაც ხელს შეუწყობს იდეების გაღრმავებას.

შეხვედრა დასრულდა მშვიდობის, ინკლუზიისა და თანამშრომლობის ახალი ხედვით.

### მონიტორინგი და შეფასების სისტემა

პროექტის კოორდინატორები უზრუნველყოფენ აქტივობების უწყვეტ მონიტორინგს პროექტის ყველა ფაზაში. მონიტორინგი და შეფასება წარმოებს პროექტის M&E გეგმის შესაბამისად. თითოეული აქტივობისთვის შექმნილია სპეციფიკური ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტურ შეფასებას. შეფასების ანკეტები შეიქმნა ლიდერებისა და მასწავლებლების ტრენინგების შედეგების გასაზომად. დამატებით გამოიყენება დაკვირვების მეთოდები და ფინანსური მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყოვლისმომცველი კონტროლი და ანგარიშვალდებულება.

## პროექტი „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა“

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი “ლაზარე” 2025 წლის 1 აპრლიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ახორციელებდა პროექტს “ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა”, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მდგრადი მშვიდობის მშენებლობას ქვეყანაში, ახალგაზრდებში ტოლერანტობის და სამშვიდობო სულისკვეთების გაღვივების საშუალებით.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა 2019-2024 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

„ლაზარეს” მიერ იმავე სახელწოდებით განხორციელებული პროექტის გაგრძელებას და დაფუძნებული იყო წინა ფაზების გამოცდილებაზე.

წინამდებარე ანგარიში ასახავს პროექტის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების დეტალურ ანგარიშს, ინფორმაციას ღონისძიებების, პროექტის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ.

### პროექტის აქტივობები

### პროექტის თანამშრომლების შეხვედრა

თავდაპირველად, განხორციელების დაწყებამდე, 2025 წლის წლის 5 აპრილს, თბილისში, საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ ოფისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა პროექტის თანამშრომლების მონაწილეობით. თანამშრომლები გაეცნნენ ერთმანეთის ფუნქციებს, განიხილეს განსახორციელებელი აქტივობები, დაგეგმეს ღონისძიებები და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. პროექტის მენეჯერმა გაანაწილა დავალებები და გამოვლინდა პასუხისმგებელი პირები. ასევე, განხილული იქნა და შეფასდა განხორციელების პერიოდში შესაძლო რისკები და მათი გადაჭრის გზები.

### ამოცანა 1. ქართველ და ოს ახალგაზრდებს შორის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება

### აქტივობა 1. ლიდერების ტრეინინგი

მაისის დასაწყისში დაიწყო მზადება ლიდერების ტრეინინგისთვის. განისაზღვრა ბანაკის ლიდერების შერჩევის კრიტერიუმები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლები. შესაბამისად, პროექტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს საინფორმაციო ბარათი ლიდერების შესარჩევად.

შერჩევის კრიტერიუმები:

- ასაკი: 22-20 წელი;
- რუსული ენის საშუალო/მაღალ დონეზე ცოდნა;
- მსგავს/ახალგაზრდულ პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- მოტივაცია და პიროვნული უნარები - პუნქტუალურობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გუნდური მუშაობის უნარი.

შედეგად, შეირჩა 6 ლიდერი: სამი ლიდერი იყო საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებების სტუდენტები, ხოლო 3 ვლადიკავკაზის პროფესიული სასწავლებლიდან.

2025 წლის 13-19 ივნისს ჩატარდა ტრეინინგები შემდეგ თემებზე 1. ლიდერობა და ფასილიტაცია 2. კონფლიქტის ტრანსფორმაცია. ტრეინინგის მიზანი პროექტის ლიდერების მომზადება იყო საზაფხულო ბანაკისთვის.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

პირველი ტრეინინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1 ლიდერობა - ლიდერობა და პიროვნული განვითარება; ჯგუფის მართვა; ინტერპერსონალური ურთიერთობები; მოტივაცია და ჩართულობა; კომუნიკაციის უნარები; ეფექტური კომუნიკაცია, აქტიური მოსმენა, ემოციების მართვა; პრეზენტაცია;
2 ფასილიტაცია - ფასილიტატორი, როგორც პროცესის წარმმართველი; ჯგუფისთვის სპეციფიური დინამიკა; ჯგუფის მენეჯმენტის ტექნიკური დეტალები (რთული მონაწილეები, ყურადღების მიქცევა, ჰიპერ აქტიური და პასიური მონაწილეები, დაბალანსებული წარმომადგენლობა და ა.შ.); რას ნიშნავს კონსენსუსი? რამდენად მიღწევადია კონსენსუსი? ჯგუფების დახმარება რთული გადაწყვეტილების მიღების დროს (პრიორიტეტიზაცია, თანაბარი არჩევანის მატრიცა, კრიტერიუმების შეფასება, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები).
3 ბანაკის მართვა - როგორ უნდა მართოს ბანაკი ლიდერმა, ბანაკის სტრუქტურა და იერარქია, მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, რთულ მონაწილეებთან ურთიერთობა და ა.შ.

**მეორე ნაწილი აერთიანებდა კონფლიქტის მედიაციისა და ტრანსფორმაციისა და ტრეინინგი ტრენერებისთვის (ToT)-ის საკითხებს:**

- რა არის კონფლიქტი? კონფლიქტის წყაროები და ტიპები;
- კონფლიქტის ესკალაციის საფეხურები; ესკალაცია და დეესკალაცია;
- კონსტრუქციული და დეკონსტრუქციული შედეგები;
- დავის ალტერნატიული გადაწყვეტა (ADR);
- კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული და ალტერნატიული პროცესები;
- მოლაპარაკების პროცესი და მედიაცია; მედიაციის სტრატეგიები;
- ეფექტური მედიაციის სიტუაცია, ნაბიჯები და პროცესი;
- საერთო ღირებულებების შეფასება; ტოლერანტობის, ძალადობის საწინააღმდეგო და სამართლიანობის ღირებულებების ხელშწყობა;
- ტრეინინგის მოდულები და დაგეგმვა; ტრეინინგის მოდულები პრაქტიკაში;

ტრეინინგის შემდეგ ტრენერებმა დაურიგეს მონაწილეებს სატრენინგო მასალები, რომელიც მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილებს, თან ახლდა გამოყენების დეტალური ინსტრუქცია, სავარჯიშოებით, შესაძლო კითხვებით, მონაწილეთა ჩართვის სტრატეგიებით.

ტრეინიგებმა გამოკვეთეს და განავითარეს მონაწილეების ლიდერული პოტენციალი, ხელი შეუწყვეს მათი აქტიური მონაწილეობის ამაღლებას კრეატიულობას და მოტივაციის ზრას, შექმნეს გარემო, სადაც ჩამოყალიბდა გუნდური მუშაობის პრინციპი და მრავალფეროვან ჯგუფში ეფექტური თანამშრომლობის უნარები.

## აქტივობა 2

### ახალგაზრდული გაცვლა - საზაფხულო ბანაკი

2025 წლის 11-20 ივლისს, ჩატარდა ახალგაზრდული გაცვლა - საზაფხულო ბანაკი, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდებში სამშვიდობო იდეების გაღვივება და კულტურათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობა. საზაფხულო ბანაკში მონაწილეობდნენ 15-დან 18 წლამდე ეთნიკურად ქართველი მოზარდები საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლიდან, ხოლო ოსი ახალგაზრდები ვლადიკავკაზიდან, ჯამში 30 მონაწილე.

საზაფხულო ბანაკის პროგრამა დატვირთული იყო სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, რომლებიც დაეხმარა მონაწილეებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის, მშვიდობის მშენებლობისა და ტოლერანტობის პრინციპების გაცნობაში. ყოველდღიური პროგრამა შედგებოდა მრავალფეროვანი და დინამიური აქტივობებისგან, რაც ახალგაზრდებს განვითარების, დასვენებისა და შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობას აძლევდა. ყოველი დღე იყო თემატური და ეძღვნებოდა ამა-თუ იმ თემას, როგორიცაა მეგობრობის დღე, სიყვარულის დღე, იუმორის დღე, სპორტის დღე და ა.შ.

დილა იწყებოდა ვარჯიშით და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციით, რასაც მოჰყვებოდა ნაყიერი საუზმე. შუადღე ეთმობოდა **არაფორმალური განათლების თამაშებს**, რომლებიც ხელს უწყობდა ჯგუფის შეკვრასა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. თამაშები დიდ როლს ასრულებდნენ მონაწილეთა დაახლოვებაში, დამეგობრებაში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის განვითარებაში.

ამის შემდეგ ტარდებოდა **ინტერაქტიული სესია კონფლიქტის ტრანსფორმაციაში**, სადაც მონაწილეები გაეცნნენ თემის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. სესიებს წინასწარ დატრენინგებული ლიდერები ატარებდნენ. მათ მონაწილეებს გააცნეს ისეთი თემები როგორიცაა, კონფლიქტის არსი, კონფლიქტის ტიპები, ფაზები, მოგვარების გზები, სტერეოტიპები და მათ მართვა, დისკრიმინაცია და მრავალფეროვნება და ა.შ. სესიები ინტერაქტიური და არაფორმალური განათლების მეთოდებზე იყო დაფუძნებული, ლიდერები ცდილობდნენ ყველა მონაწილე აქტიურად დაეინტერესებინათ და ჩაერთო განხილვაში.

სესიის შემდეგ ახალგაზრდები ესწრებოდნენ **ენის გაკვეთილებს,** სადაც სწავლობდნენ საბაზისო ფრაზებს ქართულ და ოსურ ენებში, რაც აძლიერებს ერთმანეთის კულტურისადმი პატივისცემას. ენის გაკვეთილებზე მონაწილეები ერთმანეთს მოკლე ლექსებსა და ტრადიციულ თუ თანამედროვე სიმღერის ტექსტებსაც აცნობდნენ.

სადილის შემდეგ გათვალისწინებული იყო **თავისუფალი დრო** ზღვაზე დასვენებისთვის. დღის ბოლოს, მონაწილეები იყოფოდნენ სამ სექციად: სცენარისტები, დრამის წრე და დეკორაციების შექმნა, სადაც მზადდებოდა საღამოს თემატური ღონისძიება, რაც საშუალებას აძლევდა ახალგაზრდებს შეეთავსებინათ შემოქმედებითი მუშაობა და გუნდური თანამშრომლობა.

ყოველ დღე მონაწილეები **საღამოს ღონისძიებაზე** წარადგენდნენ ეროვნული სიმღერებს, ცეკვებს, პოეზიას, ტრადიციული დღესასწაულების იმიტაციებს, ა.შ. მონაწილეები ერთმანეთს უზიარებდნენ და ასწავლიდნენ პოპულარულ ეროვნულ ცეკვებსა და სიმღერებს. კულტურულმა სესიებმა ნათლად დაანახა მონაწილეებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა კულტურა უნიკალურია, ქართულ და ოსურ კულტურას და ტრადიციებს ბევრი საერთო აქვს.

სპორტის თემატური დღე სრულად მიეძღვნა სპორტულ აქტივობებს. მონაწილეები „მხიარულ სტარტებში“ ჩაერთდნენ ეთნიკურად შერეულ ჯგუფებში და სახალისოდ გაატარეს დღის პირველი ნახევარი. მეორე ნახევარში კი გაიმართა ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ჭადრაკის და სხვა სპორტული აქტივობების თამაშები. ინტელექტის თემატურ დღეს კი მონაწილეებმა „რა, სად, როდის“ ითამაშეს.

პროგრამის ერთ-ერთი დღე მიეძღვნა დასვენებასა და თავისუფალ დროს. მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზებულ ექსკურსიაში, რომლის დროსაც ეწვივნენ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს. ახალგაზრდები თავისუფალ გარემოში უფრო დაახლოვდნენ, გაიზიარეს შთაბეჭდილებები და კარგად გაატარეს დრო. ექსკურსიამ ხელი შეუწყო ჯგუფურ შეკვრასა და პოზიტიური ურთიერთობების გაღრმავებას.

საზაფხულო სკოლამ წარმატებით შეასრულა თავისი მიზანი და მნიშვნელოვანად გააუმჯობესა ქართველი და ოსი ახალგაზრდების ურთიერთობები. მონაწილეებმა შეიძინეს საჭირო უნარები, ცოდნა და ახალი მეგობრები.

**ამოცანა 2. სამშვიდობო განწყობების შექმნა საგანმანათლებლო სივრცეში, განათლების სფეროს სპეციალისტებთან მუშაობის საშუალებით**

**აქტივობა 1. პედაგოგთა ტრეინინგები**

აქტივობის ფარგლებში, 9-11 ივნისს საქართველოს სხვადასხვა სკოლების პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს ტრეინინგთა ციკლში „სამშვიდობო განათლება და სამშვიდობო კულტურა“. თავდაპირველ ეტაპზე, პროექტის გუნდმა განსაზღვრა სამიზნე რეგიონები - ყაზბეგის რაიონი, სამეგრელო და იმერეთი. სამიზნე რეგიონების შერჩევა უფრო ეფექტურს ხდის მუშაობას სკოლის პედაგოგებთან, შედეგებისა და მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების ინტენსივობის თვალსაზრისით. ტრეინინგში მონაწილება მიიღო 15-მა პედაგოგმა, ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ ჰუმანიტარული მეცნიერებების მასწავლებლები (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, უცხო ენები).

ტრეინინგების ციკლი მიზანად ისახავდა ხელი შეეწყო მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის საკითებზე განათლების საშუალებით. ასევე, გაზარდა მათი აქტიურობა, გამჭოლი და მოქნილი უნარები და ინიციატივის გამოჩენის უნარები. ტრეინინგი მოიცავდა შემდეგ საკითებს:

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

1. **სამშვიდობო განათლება და მშვიდობის კულტურა:** სტერეოტიპები და ტოლერანტობა, მიმღებლობა სასწავლო გარემოში, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიდგომები, ადამიანის უფლებები, მშვიდობის მშენებლობა, პოზიტიური სწავლება და სამშვიდობო განათლების ინსტრუმენტები. ტრეინინგს ჩაატარებენ მშვიდობის მშენებლობის სპეციალისტები - ტრენერები.
2. **პროექტის დიზაინი და სამშვიდობო ინიციატივის შექმნა** - პროექტის იდეის დამუშავება, საპროექტო განაცხადის მომზადება, პროექტის მიზნების, ამოცანების, აღწერის, ბენეფიციარებისა და სხვა საკითხების მომზადება, პროექტის ციკლის მართვა.

ტრეინინგმა არა მხოლოდ გააღრმავა პედაგოგების ცოდნა და უნარები სამშვიდობო განათლების საკითხებში, არამედ ხელი შეუწყო მათ შორის ქსელური კომუნიკაციისა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას

**აქტივობა 1. ქართულ-ოსური ონლაინ პლატფორმის შექმნა.**

2019 წელს პროექტის წინა ფაზის ფარგლებში სოციალურ მედიაში შეიქმნა ონლაინ პლატფორმა პროექტისვე სახელწოდებით „ქართულ-ოსური სამშვიდობო ინიციატივა”. 2020-2024 წლების განმავლობაში პლატფორმა განვითარდა. იგი ეთმობა ქართულ-ოსური ურთიერთობების წარმოდგენას, როგორც წარსულიდან, ასევე არსებულ მდგომარეობასა და მომავლის პერსპექტივებზე. პლატფორმაზე განთავსებულია მრავალფეროვანი, მნიშვნელოვანი საარქივო ფოტო და ვიდეო მასალა, პროექტის ფარგლებში სტატიები ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, პროექტის ფარგლებში შექმნილი პუბლიკაციები.

პროექტის მიმდინარე ფაზის განმავლობაში პლატფორმას დაემატა ახალი ინფორმაცია, განვითარდა და გახდა უფრო მრავალფეროვანი და მოიცვა ფართო აუდიტორია. კერძოდ, განთავსდა ახალი საარქივო მასალა, ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ და ინფორმაციული სტატიები.

პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას, ქართველ და ოს ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის გაცვლას და კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას. ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია სრულად ხელმისაწვდომია ლინკზე: https://www.facebook.com/geoossetianpeaceinitiative.

**აქტივობა 2. ვებგვერდის შექმნა**

პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის ვებგვერდის შექმნა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ აქტივობას, რომელმაც მრავალმხრივი გავლენა მოახდინა როგორც თავად ორგანიზაციის განვითარებაზე, ისე პროექტის ეფექტიან განხორციელებაზე.

პირველ რიგში, ვებგვერდმა უზრუნველყო ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის. თანამედროვე ციფრულ ეპოქაში

ორგანიზაციის ონლაინ პლატფორმა იქცა მის „ციფრულ სახედ“, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულმა პირებმა — პარტნიორებმა, ბენეფიციარებმა, დონორებმა და ფართო საზოგადოებამ — მიიღეს სრულყოფილი ინფორმაცია ორგანიზაციის მიზნების, მიმდინარე და განხორციელებული პროექტების, მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაზარდა ნდობა ორგანიზაციის მიმართ და გაამყარა მისი რეპუტაცია.

ვებგვერდი ასევე იქცა მნიშვნელოვან ინსტრუმენტად პროექტის შედეგების გავრცელებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის. პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, ღონისძიებების, ტრენინგების, და მიღწეული შედეგების სისტემატურმა გამოქვეყნებამ უზრუნველყო ინფორმაციის დროული და ეფექტიანი გავრცელება. შედეგად, პროექტმა მიაღწია უფრო ფართო აუდიტორიამდე, გაიზარდა მისი ხილვადობა და გავლენა.

გარდა ამისა, ვებგვერდის შექმნის პროცესში პროექტის თანამშრომელთა გუნდის ჩართულობამ ხელი შეუწყო ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. თანამშრომლებმა შეიძინეს პრაქტიკული უნარები ციფრულ კომუნიკაციაში, კონტენტის მართვაში, ინფორმაციის სტრუქტურირებასა და ონლაინ პლატფორმების გამოყენებაში. მიღებულმა გამოცდილებამ მომავალში უზრუნველყო ვებგვერდის მდგრადი ფუნქციონირება და რეგულარული განახლება, რაც მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციის უწყვეტი განვითარებისათვის.

ვებგვერდი ასევე იქცა კომუნიკაციის ეფექტიან არხად, რომელმაც გაამარტივა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა. მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა კონტაქტის დამყარება, განაცხადების მიღება, ღონისძიებებზე რეგისტრაცია და უკუკავშირის მიღება. აღნიშნულმა გაზარდა ორგანიზაციის მოქნილობა და ოპერატიულობა.

აღნიშნულმა აქტივობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორგანიზაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, პროექტის მდგრადობასა და გრძელვადიანი გავლენის უზრუნველყოფას. ვებგვერდი იქცა არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებად, არამედ ორგანიზაციის განვითარების, პოზიციონირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელმაც გააგრძელა პროექტის შედეგების მხარდაჭერა და მისი მიზნების პოპულარიზაცია.

## პროფესიული განათლების ხელშეწყობა - პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ,,ფერმერთა სკოლა“

### პროექტის მიზანი

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, როგორც „ფერმერთა სკოლის“ დამფუძნებელი, უზრუნველყოფს ცენტრის მხარდაჭერას და აქტიურად არის ჩართული მისი ყოველდღიური ფუნქციონირების პროცესში. საქმიანობა ხორციელდება ფონდ „ლაზარეს“ პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში და სრულ თანხვედრაშია ფონდის სტრატეგიულ მიზნებთან.

პროექტის ფარგლებში, ფონდის მიერ ხორციელდება ცენტრის გამართული და ეფექტური მუშაობის მხარდაჭერა, ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის ზედამხედველობა, პროგრამების შესაბამისობისა და ადმინისტრაციული საქმიანობის კონტროლი, სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და მდგრადობის ხელშეწყობა.

პროექტი მიზნად ისახავს ფერმერთა სკოლის ჩამოყალიბებას თანამედროვე პროფესიული განათლების ეფექტურ პლატფორმად, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას, ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და რეგიონების სოციალურ ეკონომიკურ გაძლიერებას.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

**შრომის ბაზართან შესაბამისობა:** ა(ა)იპ ახალი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ,,ფერმერთა სკოლის“ პროფესიული პროგრამები შემუშავდა ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. ძირითადი აქცენტი გაკეთდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს.

**მსმენელთა პროფესიული და პიროვნული განვითარება:** ბენეფიციართა მიერ მიღწეული შედეგები ადასტურებს სწავლების ეფექტურობას. კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში და ახერხებს პროფესიულ რეალიზებას.

**თანაბარი ხელმისაწვდომობა:** უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების თანაბარ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამები, რაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას ემსახურება.

**ღირებულებების პრაქტიკაში დანერგვა**

- **პროფესიონალიზმი:** ხარისხის უზრუნველყოფის სრული ციკლისა და აკადემიური სტანდარტების დაცვა;
- **გუნდურობა:** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინირებული და ერთობლივი მართვა;
- **თანასწორობა:** მონაწილეთა შერჩევისა და შეფასების პროცესში ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების უზრუნველყოფა.

**I. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება**

2025 წელს განხორციელდა 4 პროფესიული მომზადების პროგრამა:

1. დეკორატიული ბაღის მოვლა;
2. ფუტკრის პროდუქტების მიღება;
3. ხეხილის სხვლა-ფორმირება;
4. ტყის მცველი.

**1. დეკორატიული ბაღის მოვლა**

განხორციელების პერიოდი: **29/05/2025 – 18/09/2025**
ადგილი: ქალთა №5 სპეციალური პენიტენციური დაწესებულება

- ჯგუფების რაოდენობა: 1
- დარეგისტრირდა: 15
- ჩაირიცხა: 15

- დაასრულა: 6
- დასრულების მაჩვენებელი: 40%
- პრაქტიკული სამუშაოები: მცენარეთა მოვლა, დეკორატიული ფორმირება, ბაღის მოწყობა
- შრომის ბაზართან კავშირი: თვითდასაქმებისა და გამწვანების სფეროში დასაქმების შესაძლებლობა
- სირთულეები: სპეციფიკური რეჟიმი; გადაჭრა – ადმინისტრაციასთან კოორდინაციით.

**2. ფუტკრის პროდუქტების მიღება**

განხორციელების პერიოდი: **28/04/2025 – 21/07/2025**

- ჯგუფები: 1
- დარეგისტრირდა: 23
- ჩაირიცხა: 15
- დაასრულა: 13
- დასრულების მაჩვენებელი: 86.6%
- პრაქტიკული სამუშაოები: სკების მოვლა, თაფლის ამოღება, ფუტკრის პროდუქტების დამუშავება
- შრომის ბაზართან კავშირი: მცირე საოჯახო მეურნეობა
- განხორციელდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

**3. ხეხილის სხვლა-ფორმირება**

განხორციელების პერიოდი: **09/10/2025 – 19/12/2025**

- ჯგუფები: 1
- დარეგისტრირდა: 32
- ჩაირიცხა: 15
- დაასრულა: 12
- დასრულების მაჩვენებელი: 80%
- პრაქტიკული სამუშაოები: ხეხილის სხვლა, ფორმირება, ბაღის მოვლა
- შრომის ბაზართან კავშირი: აგრო-მეურნეობები, თვითდასაქმება
- სირთულე: ამინდის ფაქტორი – გადაჭრა გრაფიკის კორექტირებით.

**4. ტყის მცველი**

განხორციელების პერიოდი: **21/10/2025 – 30/12/2025**

- ჯგუფები: 1
- დარეგისტრირდა: 11
- ჩაირიცხა: 11
- დაასრულა: 6
- დასრულების მაჩვენებელი: 54.5%
- პრაქტიკული სამუშაოები: ტყის მონიტორინგი, უსაფრთხოების წესები
- შრომის ბაზართან კავშირი: გარემოს დაცვის სექტორი
- სირთულე: სეზონურობა – გადაჭრა გრაფიკის კორექტირებით

**II. სასწავლო პროცესის მართვა**

2025 წელს სასწავლო პროცესი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული წლიური გეგმისა და პროგრამების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრული იყო სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, პრაქტიკული სამუშაოების მოცულობა და შეფასების კრიტერიუმები. პროცესის მიმდინარეობას სისტემურად აკონტროლებდა ადმინისტრაცია შიდა მონიტორინგის მექანიზმების საშუალებით. (სასწავლო პროცესზე და შეფასებაზე დასწრება)

მსმენელთა შეფასება განხორციელდა კომპლექსურად — როგორც თეორიული ცოდნის შემოწმებით (ტესტები, ზეპირი გამოკითხვა), ასევე პრაქტიკული დავალებების შესრულებით რეალურ სამუშაო გარემოში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკული უნარების შეფასებას, რაც უზრუნველყოფდა პროფესიული კომპეტენციების რეალურ დადასტურებას.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა პრაქტიკული სასწავლო გარემო. ფუნქციონირებდა საფუტკრე მეურნეობა 15 ფუტკრის ოჯახით, რაც სრულფასოვან პრაქტიკულ სწავლებას უზრუნველყოფდა. ასევე აქტიურად გამოიყენებოდა სასწავლო-სადემონსტრაციო ხეხილის ბაღი, სადაც მსმენელები პრაქტიკულად ეუფლებოდნენ სხვლა-ფორმირების, მოვლისა და აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებას. აღნიშნული გარემო მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხსა და შედეგიანობას.

**III. ხარისხის უზრუნველყოფა**

2025 წელს ცენტრში ფუნქციონირებდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება უწყვეტი განვითარების ციკლს: **დაგეგმვა → განხორციელება → შეფასება → გაუმჯობესება**. თითოეული პროგრამის დაწყებამდე განისაზღვრებოდა მიზნები, შედეგები და

შეფასების კრიტერიუმები; განხორციელების ეტაპზე ხორციელდებოდა პროცესის მონიტორინგი; დასრულების შემდეგ კი ხდებოდა შედეგების ანალიზი.

ყველა პროგრამის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ ტარდებოდა მსმენელთა ანონიმური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო სასწავლო პროცესის, გარემოს, რესურსებისა და განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება. მიღებული შედეგები მიუთითებს კმაყოფილების მაღალ დონეზე, განსაკუთრებით პრაქტიკული კომპონენტის ხარისხისა და მიღებული ცოდნის გამოყენებადობის მიმართულებით.

## IV. პროფესიული ორიენტაცია და დასაქმება

2025 წელს ცენტრმა აქტიურად განახორციელა პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებები. ჩარიცხულ მსმენელებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია პროფესიის სპეციფიკის, დასაქმების შესაძლებლობებისა და თვითდასაქმების მოდელების შესახებ. სასწავლო პროცესის განმავლობაში მსმენელები იღებდნენ კონსულტაციებს ბაზარზე ინტეგრაციისა და საქმიანობის დაწყების საკითხებზე.

კურსდამთავრებულთა **დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების მიხედვით** 2025 წელს შემდეგნაირად განისაზღვრა:

- **ხეხილის სხვლა-ფორმირება** – პროგრამა დაასრულა 12 მსმენელმა. დასაქმდა 10 კურსდამთავრებული, რაც შეადგენს **83.3%-ს**. მათ შორის:

  - 3 დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში (**25%**);
  - 2 არის თვითდასაქმებული ფერმერი (**16.7%**);
  - 1 არის თვითდასაქმებული მებაღე-დეკორატორი (**8.3%**);
  - 4 დასაქმებულია სხვა სფეროში (**33.3%**).

აღნიშნული მაჩვენებლები ადასტურებს პროგრამის მაღალ პრაქტიკულ შედეგიანობას და დასაქმებაზე ორიენტირებას.

- **ტყის მცველი** – პროგრამა დაასრულა 6 მსმენელმა. მათგან 3 კურსდამთავრებული დასაქმებულია, რაც შეადგენს **50%-იან დასაქმების მაჩვენებელს**.

დასაქმებულთაგან:

  - 2 კურსდამთავრებული დასაქმებულია მონათესავე სფეროში – მებაღეობაში (**33.3%**);
  - 1 კურსდამთავრებული მუშაობს პროფესიით, რეინჯერის პოზიციაზე (**16.7%**).
  - დანარჩენი 3 კურსდამთავრებული (**50%**) ამ ეტაპზე არ არის დასაქმებული, თუმცა მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების საფუძველზე აქვთ მომავალში დასაქმების რეალური პერსპექტივა.

- **ფუტკრის პროდუქტების მიღება** – პროგრამა დაასრულა 13 მსმენელმა. მათგან 10 კურსდამთავრებული დასაქმდა ან გახდა თვითდასაქმებული, რაც შეადგენს **76.9%-იან დასაქმების მაჩვენებელს**.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა **თვითდასაქმების მიმართულებით**, რადგან მეფუტკრეობა იძლევა მცირე საწყისი რესურსით დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა უმეტესობამ მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები გამოიყენა საკუთარი მეურნეობის განვითარებისთვის, რაც ადასტურებს პროფესიის მდგრადობასა და ეკონომიკურ პერსპექტივას.

აღნიშნული შედეგი ხაზს უსვამს პროგრამის მაღალ პრაქტიკულ ღირებულებას და თვითდასაქმებაზე ორიენტირებულ ეფექტიანობას.

- **დეკორატიული ბაღის მოვლა**

ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ „ფერმერთა სკოლასა“ და სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროფესიული მომზადების პროგრამის **„დეკორატიული ბაღის მოვლა“** ერთობლივად განხორციელების შესახებ.

პროგრამა განხორციელდა ქალთა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში და მიზნად ისახავდა მსმენელთა პროფესიული უნარების განვითარებას, რესოციალიზაციის ხელშეწყობასა და შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.

აღნიშნული თანამშრომლობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი სოციალურ-საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში ეტაპობრივ და წარმატებულ რეინტეგრაციას.

**ანალიზი**

- ✓ წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს, რომ პროფესიული მომზადების პროგრამები გამოირჩევა **მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით და პრაქტიკული შედეგიანობით**.
- ✓ ყველაზე მაღალი შედეგი დაფიქსირდა პროგრამაში **„ხეხილის სხვლა-ფორმირება“** (83.3%), რაც ადასტურებს შრომით ბაზარზე მოთხოვნადობასა და მრავალმხრივ დასაქმების შესაძლებლობებს.
- ✓ პროგრამა **„ფუტკრის პროდუქტების მიღება“** (76.9%) განსაკუთრებით ეფექტიანია თვითდასაქმების მიმართულებით და ქმნის მცირე რესურსით დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყების რეალურ შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანია სოფლად ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

- ✓ **„ტყის მცველის“** პროგრამა (50%) უზრუნველყოფს როგორც მონათესავე სფეროში, ისე უშუალოდ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას და წარმოადგენს პერსპექტიულ მიმართულებას.
- ✓ ჯამურად, შედეგები ადასტურებს პროგრამების შრომით ბაზარზე შესაბამისობას, პრაქტიკულ ორიენტაციას და კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს.
- ✓ ცენტრი თანამშრომლობს აგრო-სექტორის წარმომადგენლებთან და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას როგორც არსებულ მეურნეობებში, ისე საკუთარი საქმიანობის დაწყების მიმართულებით. წარმოდგენილი სტატისტიკა ადასტურებს პროგრამების პრაქტიკულ ეფექტიანობას და შრომის ბაზართან რეალურ კავშირს

## V. ადამიანური რესურსების მართვა

2025 წელს ადამიანური რესურსების მართვა განხორციელდა ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად და მოიცავდა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ისე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პირებს. ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებული იყო მკაფიოდ, რაც უზრუნველყოფდა პროცესების ეფექტიან კოორდინაციასა და მართვას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გეგმიური ტრენინგები და შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები, რომლებიც მიმართული იყო როგორც პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებაზე, ისე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე. ტრენინგები ითვალისწინებდა პროგრამების სპეციფიკას და პრაქტიკული საქმიანობის რისკებს.

2025 წელს ცენტრმა განაგრძო სასწავლო და პრაქტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება. ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავდა:

- ➢ **სასწავლო-სადემონსტრაციო ხეხილის ბაღი**, სადაც მსმენელებმა პრაქტიკულად ისწავლეს ხეხილის მოვლა, სხვლა-ფორმირება და აგროტექნიკური სამუშაოები;
- ➢ **საფუტკრე მეურნეობა** 15 ფუტკრის ოჯახით, რაც უზრუნველყოფდა მეფუტკრეობასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას;
- ➢ **შეძენილი სასწავლო მასალები**, რომლებიც მიზნად ისახავდა პროგრამების ხარისხიანი განხორციელების ხელშეწყობას.
- ➢ **ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება:**
  სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით ცენტრს მიენიჭა **სერვიტუტის უფლება** საფეხმავლო და სამანქანო გზის მოწყობის მიზნით. აღნიშნული პროცესი გრძელდება და ეტაპობრივად უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხო მისვლას ცენტრის ტერიტორიაზე, ისე სასწავლო და ადმინისტრაციულ საჭიროებებს.

## VI. შრომის უსაფრთხოება

2025 წელს ცენტრი აქტიურად ახორციელებდა **შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას**

- ჩატარდა **გეგმიური ტრენინგები** პერსონალისა და მსმენელებისთვის, სადაც განხილული იყო როგორც უსაფრთხოების ზოგადი ნორმები, ისე პრაქტიკული წესები.თითოეული პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, განისაზღვრა **სპეციფიკური უსაფრთხოების წესები**, რომლებიც უზრუნველყოფდნენ როგორც მონაწილეთა, ისე სამუშაო პროცესში ჩართული პერსონალის დაცვას.საანგარიშო პერიოდში **ინციდენტი არ დაფიქსირებულა**, რაც ადასტურებს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვას და მოქმედი წესების ეფექტიანობას

## VII. პარტნიორობა და პროექტები

2025 წელს ცენტრმა აქტიურად განავითარა **პარტნიორობა და პროექტული საქმიანობა** შემდეგი მიმართულებებით:

**სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა:**

- **თანამშრომლობა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან**

დასაქმების ხელშეწყობის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის – „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამის“ – ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად „ფერმერთა სკოლამ“ სააგენტოში წარადგინა განაცხადები შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებზე:

- დეკორატიული ბაღის მოვლა;
- ფუტკრის პროდუქტების მიღება;
- ხეხილოვანი კულტურების დაცვა.

განაცხადებით მოთხოვნილი იყო პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების, პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის მომსახურების, პრაქტიკის ადგილზე ტრანსპორტირების, აგრეთვე კურსდამთავრებულთა სერტიფიკატების ბეჭდვის ხარჯების დაფინანსება.

აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამები დაფინანსდა, თუმცა სასწავლო ჯგუფების ფორმირება ვერ განხორციელდა. ამის მიზეზი გახდა პოტენციურ მსმენელთა დროითი შეზღუდვები და ლექციების განრიგის მათი სამუშაო დატვირთვასთან შეუთავსებლობა, რის შედეგადაც განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხერხდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის საჭირო რაოდენობის მსმენელთა მობილიზება.

- **პარტნიორობა:** ფერმერთა სკოლის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორი იყო **დაცული ტერიტორიების სააგენტო**, რომელიც მონაწილეობდა პროგრამა **„ტყის მცველის“** განხორციელებაში. პარტნიორობა უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას რეალურ სექტორულ მოთხოვნებსა და პრაქტიკულ საქმიანობას. ეს აქტივობები აჩვენებს ცენტრის მზადყოფნას თანამშრომლობისთვის, პროგრამების ხარისხის შენარჩუნებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის.

**პროექტი: „ფერმერთა სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“**

- პროექტი მიზნად ისახავდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში — **მუღანლოში, ლამბალოსა და თულარში** — მცხოვრები აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის საზოგადოებრივ ინტეგრაციას, პროფესიულ განათლებაში ჩართვასა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას **მეფუტკრეობის მიმართულებით**.

პროექტი სრულად შეესაბამებოდა სახელმწიფო გრანტის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც მოიცავდა:

- ეთნიკური უმცირესობების სოციალური ჩართულობის ხელშეწყობას;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას;
- შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
- სოფლად მდგრადი თვითდასაქმების მხარდაჭერას.

პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პრობლემები: ერთ-ერთი ძირითადი ბარიერი სახელმწიფო ენის დაბალი ცოდნა იყო, რაც ხელს უშლიდა პროფესიულ განათლებაში ჩართვასა და საზოგადოებრივ ინტეგრაციას. ინიციატივა ფოკუსირებული იყო მცირე ზომის სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებულ თვითდასაქმების მოდელებზე, მათ შორის **მეფუტკრეობაზე**, რაც სრულად შეესაბამებოდა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს.

**ბენეფიციარები:**

- ასაკობრივი ჯგუფი: 18–60 წელი
- მინიმუმ 15 ეთნიკური აზერბაიჯანელი მოქალაქე
- გენდერული ბალანსი: ქალების აქტიური ჩართვის წახალისება

პროექტის განხორციელება უზრუნველყოფდა სოციალური ინტეგრაციის გაძლიერებას, მსმენელთა პროფესიული უნარების განვითარებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. თუმცა, აღნიშნულმა პროექტმა შერჩევის პირველი ეტაპი წარმატებით გაიარა, თუმცა საბოლოოდ დაფინანსება ვერ მოიპოვა.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

### ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება

სკოლის წინ მდებარე მიწის ნაკვეთზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობის საკითხი, რომლის მიზანი იყო პერსონალის, მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და სტუმრებისათვის სკოლის ტერიტორიაზე მოხვედრა საჯარო სკოლის ეზოს გავლის გარეშე, დადებითად გადაწყდა.

დაწესებულებამ მიმართა **სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს** და პარალელურად საქართველოს განთლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სერვიტუტის უფლებით შესაბამისი უძრავი ქონების გამოყენების თხოვნით. მოთხოვნა დაკმაყოფილდა და დაწესებულება აგრძელებს შემდგომ ეტაპებს.

2025 წელს „ფერმერთა სკოლამ“ წარმატებით შეასრულა დაგეგმილი საქმიანობა. ცენტრმა სრულად განახორციელა ოთხი პროფესიული მომზადების პროგრამა, უზრუნველყო **ხარისხის ციკლის შესრულება** დაწყებიდან დასრულებამდე, შენარჩუნდა **ფინანსური სტაბილურობა** და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **ინფრასტრუქტურული განვითარების** მიმართულებით, მათ შორის სკოლისთვის სერვიტუტის უფლების მიღება საფეხმავლო და სამანქანო გზის მოწყობის მიზნით.

ცენტრის საქმიანობა ადასტურებს პროფესიული პროგრამების ეფექტიანობას, კურსდამთავრებულთა ჩართულობის ზრდასა და დასაქმების ხელშეწყობის განხორციელების მაღალ სტანდარტებს.

## პროფესიული განათლების ხელშეწყობა - ახალი პროფესიული კოლეჯი

### პროექტის მიზანი

საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“, როგორც ახალი პროფესიული კოლეჯის დამფუძნებელი, უზრუნველყოფს კოლეჯის მხარდაჭერას და აქტიურად არის ჩართული მისი სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

საქმიანობა ხორციელდება ფონდ „ლაზარეს“ პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში და სრულ თანხვედრაშია ფონდის მისია-მიზნებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

პროექტის ფარგლებში ფონდი უზრუნველყოფს:

- კოლეჯის გამართული და ეფექტური ფუნქციონირების მხარდაჭერას;
- ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას;
- სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლსა და მონიტორინგს;
- საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
- ადმინისტრაციული და მენეჯერული პროცესების ზედამხედველობას;
- სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრასა და განვითარების დაგეგმვას;
- პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას კერძო სექტორთან და დასაქმების ბაზრის წარმომადგენლებთან;
- კოლეჯის გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობას.

პროექტი მიზნად ისახავს ახალი პროფესიული კოლეჯის ჩამოყალიბებას თანამედროვე სახელობო პროფესიული განათლების ეფექტურ პლატფორმად, რომელიც უზრუნველყოფს

კერვის, მინის მხატვრული ფიუზინგისა და მინანქრის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

ა(ა)იპ „ახალი პროფესიული კოლეჯის“ პროფესიული მომზადების პროგრამები შემუშავდა და განხორციელდა **შრომის ბაზრის დინამიკისა და მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე**. პროგრამული კონტენტი ფოკუსირებულია, როგორც პრაქტიკული უნარების ათვისებაზე, ასევე იმ პროფესიული კომპეტენციების ფორმირებაზე, რომლებიც **კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების წინაპირობას წარმოადგენს**.

სასწავლო პროცესი ეფუძნება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებულ მოდელს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კრეატიული აზროვნების სტიმულირებასა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის უნარების განვითარებაზე, რაც სტუდენტთა პროფესიულ მზაობას  და თვითრეალიზაციას უზრუნვრელყოფს.

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული განათლების ინკლუზიურობასა და ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის. მიღების პროცესში დანერგილი სამართლიანი შერჩევის მექანიზმები ყველა  აპლიკანტისთვის თანაბარ შესაძლებლობებსა და სასტარტო პირობებს ქმნის.

ორგანიზაციის საქმიანობა ემყარება შემდეგ ფუნდამენტურ ღირებულებებს:

**პროფესიონალიზმი**: სწავლების ხარისხის უწყვეტი სრულყოფა და დადგენილი პროფესიული სტანდარტების ურყევი დაცვა;

**გუნდურობა:** ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კოორდინაცია და ერთობლივი ძალისხმევა დასახული მიზნების მისაღწევად;

**თანასწორობა:** მსმენელთა ობიექტური შეფასების სისტემის უზრუნველყოფა და მიუკერძოებელი საგანმანათლებლო გარემოს შენარჩუნება.

**I. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება**

2025 წლის განმავლობაში ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯში განხორციელდა **5 პროფესიული მომზადების პროგრამა**:

1. საქმისმწარმოებელი;
2. ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი;
3. ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა;
4. მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი;
5. ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

### 1. ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი

განხორციელების პერიოდი: **31/03/2025- 04/07/2025**

• დარეგისტრირდა: **20 აპლიკანტი**
• ჩაირიცხა: **12 მსმენელი**
• დაასრულა: **7 მსმენელი**
პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს რელიგიური ტურიზმის სპეციფიკა, საქართველოს კულტურულ-რელიგიური მემკვიდრეობის ისტორია, ტურის დაგეგმვა და გიდობის პრაქტიკული უნარები.

შრომის ბაზართან კავშირი:
პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის სექტორში დასაქმებაზე, განსაკუთრებით კულტურული და რელიგიური ტურიზმის მიმართულებით.

### 2. საქმისმწარმოებელი

განხორციელების პერიოდი: **31/03/2025 04/07/2025**

• დარეგისტრირდა: **20 აპლიკანტი**
• ჩაირიცხა: **12 მსმენელი**
• დაასრულა: **11 მსმენელი**

პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს დოკუმენტბრუნვის მართვა, ოფისის ადმინისტრირება, საქმიანი კომუნიკაცია და თანამედროვე საოფისე პროგრამების გამოყენება.

შრომის ბაზართან კავშირი:
პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ადმინისტრაციულ პოზიციებზე.

### 3. ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა

განხორციელების პერიოდი: **24/02/2025 27/06/2025**

• დარეგისტრირდა: **18 აპლიკანტი**
• ჩაირიცხა: **6 მსმენელი**

• დაასრულა: **6 მსმენელი**
• დასრულების მაჩვენებელი: **100%**

პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს ტანსაცმლის კონსტრუირება, კერვის ტექნოლოგია, მასალების შერჩევა და ტანსაცმლის დამზადების პრაქტიკული პროცესი.

2025 წლის **13 ივნისს** გაიმართა **ღია გაკვეთილი**, რომლის ფარგლებშიც მსმენელებმა ადმინისტრაციისა და მოწვეული სტუმრების წინაშე წარმოადგინეს მიღებული პრაქტიკული უნარები.

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდა **შპს „პრემიერა.ტმ.“-ში**, სადაც მსმენელებმა რეალურ საწარმოო გარემოში განავითარეს პროფესიული კომპეტენციები.

შრომის ბაზართან კავშირი:
პროგრამა ქმნის როგორც დასაქმების, ასევე თვითდასაქმების შესაძლებლობას სამკერვალო სფეროში.

**4. მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი**

განხორციელების პერიოდი: **31/03/2025 04/07/2025**

• დარეგისტრირდა: **30 აპლიკანტი**
• ჩაირიცხა: **8 მსმენელი**
• დაასრულა: **8 მსმენელი**
• დასრულების მაჩვენებელი: **100%**

პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს მინის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგია, ფიუზინგის ტექნიკა და სხვადასხვა დეკორატიული ნაკეთობების დამზადება.

შრომის ბაზართან კავშირი:
პროგრამა ქმნის შესაძლებლობას ხელოვნებისა და ხელნაკეთობების სფეროში დასაქმებისა და მცირე შემოქმედებითი ბიზნესის განვითარებისთვის.

**5. ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება**

განხორციელების პერიოდი: **17/10/2025 30/12/2025**

• დარეგისტრირდა: **55 აპლიკანტი**
• ჩაირიცხა:**7 მსმენელი**

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

• დაასრულა: **7 მსმენელი**
• დასრულების მაჩვენებელი: **100%**

პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა შეისწავლეს ტიხრული მინანქრის ისტორია, ტექნოლოგიური პროცესები და სხვადასხვა დეკორატიული ნაკეთობის შექმნის პრაქტიკული მეთოდები.

პროგრამა ორიენტირებულია ტრადიციული ხელოვნების განვითარებასა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე.

შრომის ბაზართან კავშირი:
კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ ხელნაკეთობების წარმოებაში, სუვენირების დამზადებასა და მცირე შემოქმედებითი ბიზნესის განვითარებაში.

საანგარიშო პერიოდის მიწურულს, ახალ პროფესიულ კოლეჯში გაიმართა პროფესიული მომზადების პროგრამების მსმენელების მიერ შექმნილი ნამუშევრების **გამოფენა-გაყიდვა**. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი პროგრამების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები:

- „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“;
- „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“;
- „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“.

ღონისძიება წარმოადგენდა პროფესიული პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის წარმატებით შესრულების ერთგვარ დასტურს, სადაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით წარმოჩინდა მსმენელთა პროგრესი, მათ მიერ მიღწეული უნარები და შესაძლებლობები რეალურ სამუშაო პროცესში.

აღნიშნული აქტივობა ხაზს უსვამს კოლეჯის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს-პრაქტიკული სწავლების, კრეატიულობისა და პროფესიული უნარების ეფექტურ კომბინირებას. ღონისძიებამ ხელი შეუწყო მსმენელთა მოტივაციის ამაღლებასა და პროფესიული განათლების ხარისხის შემდგომ გაძლიერებას.

კოლეჯში განხორციელებული პროგრამების გარდა, 2025 წელს, ა(ა)იპ ახალმა პროფესიულმა კოლეჯმა პენიტენციურ დაწესებულებებში განახორციელა პროფესიული მომზადების პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობას პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით.

პროექტი განხორციელდა დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

## საქართველოს საპატრიარქოს
## საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ 2025 წლის პროგრამული ანგარიში

### პროექტის მიზანი და ამოცანები

მიზანი:
მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა პროფესიული უნარების განვითარების და დასაქმებისთვის მომზადების გზით.

ამოცანები:

- მსჯავრდებულთა პროფესიული საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შეთავაზება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება პენიტენციური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდა.

### პარტნიორი მხარეები და სამიზნე ჯგუფი

პროექტი განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციების თანამშრომლობით:

- ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი;
- სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი;
- ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო;
- შესაბამისი პენიტენციური დაწესებულებები.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ პროფესიული უნარების შეძენითა და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებით.

### განხორციელებული პროფესიული პროგრამები

2025 სასწავლო წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამი პროფესიული მომზადების პროგრამა, რომლებიც მორგებული იყო პენიტენციური გარემოს სპეციფიკასა და ბენეფიციართა საჭიროებებზე:

- „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი;“
- „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი;“
- „ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება;“

ამასთან, წლის ბოლოსთვის ორი პროგრამა კვლავ მიმდინარე ეტაპზეა და დასრულება დაგეგმილია 2026 წლის 27 თებერვალს.

**„ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ (N5 პენიტენციური დაწესებულება)**

სასწავლო პროცესი განხორციელდა 2025 წლის 20 იანვრიდან 2025 წლის 11 აპრილამდე. პროგრამაზე ჩაირიცხა 12 მსმენელი, რომელთაგან სრული კურსი დაასრულა 5-მა.

პროგრამა მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და ეფუძნებოდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს. პენიტენციური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, პრაქტიკული სწავლება განხორციელდა ვირტუალური ექსკურსიებისა და პრეზენტაციების გამოყენებით.

სასწავლო პროცესში გამოყენებული იყო ლექცია, ინტერაქციული ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა. საბოლოო შეფასება განხორციელდა პრეზენტაციის ფორმატში.

მსმენელებმა შეისწავლეს საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიები, რელიგიური ძეგლების არქიტექტურისა და ხელოვნების საფუძვლები, ტურის დაგეგმვისა და ორგანიზების პრინციპები და გიდის პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამამ ხელი შეუწყო კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარების განვითარებას.

**„მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ (N5 პენიტენციური დაწესებულება)**

პროგრამა განხორციელდა 2025 წლის 20 იანვრიდან 2025 წლის 11 აპრილამდე. ჩაირიცხა 8 მსმენელი, რომელთაგან 7-მა წარმატებით დაასრულა პროგრამა.

სწავლება მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და ეფუძნებოდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. გამოყენებული იყო ლექცია, დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა და პრაქტიკული მეცადინეობა.

მსმენელებმა შეისწავლეს ფიუზინგის ტექნიკა და მინის ნაკეთობების შექმნის პროცესი. პროგრამა ხელს უწყობს თვითდასაქმებისა და მინის სახელოსნოებში საქმიანობისათვის საჭირო უნარების განვითარებას.

პროექტის ფარგლებში დაწყებულია N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მინის მხატვრული დამუშავების მუდმივმოქმედი სახელოსნოს მოწყობა, რაც უზრუნველყოფს უნარების პრაქტიკულ გამოყენებასა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

**„ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება“ (N16 და N17 პენიტენციური დაწესებულებები)**

პროგრამა განხორციელდა ორ დაწესებულებაში:

- N16 პენიტენციური დაწესებულება-2025 წლის 20 იანვრიდან 2025 წლის 10 აპრილამდე. ჩაირიცხა 7 მსმენელი, პროგრამა წარმატებით დაასრულა 6-მა.
- N17 პენიტენციური დაწესებულება-2025 წლის 29 მაისიდან 2025 წლის 15 აგვისტომდე. ჩაირიცხა 7 მსმენელი, რომლებმაც სწავლა სრულად დაასრულეს.

პროგრამა მოიცავდა ტიხრული მინანქრის ტექნიკის, მასალებისა და ხელსაწყოების გამოყენების, სპილენძთან მუშაობის, ვერცხლის ტიხრების დამზადებისა და მინანქრის დადებისა და გამოწვის ტექნოლოგიების შესწავლას. სასწავლო პროცესში დამზადდა სამკაული, დეკორატიული ნივთები და პანოები.

დაწყებულია N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მინანქრის დამუშავების მუდმივმოქმედი სახელოსნოს მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მსმენელთა პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას.

**მიღწეული შედეგები**

პროექტის განხორციელების შედეგად:

- გაიზარდა მსჯავრდებულთა პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები;
- გაძლიერდა მოტივაცია სწავლისა და თვითგანვითარების მიმართ;
- შეიქმნა დასაქმებისა და თვითდასაქმების რეალური წინაპირობები;
- ხელი შეეწყო რესოციალიზაციის პროცესს;
- გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა პენიტენციურ დაწესებულებებში.

**გამოწვევები და მართვა**

პროექტის განხორციელებისას გამოვლინდა ინფრასტრუქტურული, ლოჯისტიკური და ადმინისტრაციული სპეციფიკით განპირობებული გამოწვევები. აღნიშნული საკითხები

ეფექტიანად გადაიჭრა პარტნიორ ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობის, გრაფიკის ადაპტირებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენების გზით.

**I1. სასწავლო პროცესის მართვა**

2025 წელს ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯში სასწავლო პროცესი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული წლიური გეგმისა და პროგრამების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. თითოეული პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული იყო სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები, პრაქტიკული კომპონენტის მოცულობა და შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის მიმდინარეობას სისტემატურად აკონტროლებდა კოლეჯის ადმინისტრაცია შიდა მონიტორინგის მექანიზმების საშუალებით, რაც მოიცავდა სალექციო და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას, ასევე შეფასების პროცესის ზედამხედველობას.

მსმენელთა შეფასება განხორციელდა კომპლექსურად- როგორც თეორიული ცოდნის შემოწმებით (ტესტები, ზეპირი გამოკითხვა), ასევე პრაქტიკული დავალებების შესრულებით. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკული უნარების შეფასებას, რაც უზრუნველყოფდა პროფესიული კომპეტენციების რეალურ დადასტურებას. პრაქტიკული დავალებები მოიცავდა როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ხელს უწყობდა მსმენელთა პროფესიული და კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პრაქტიკულ სწავლებას. პრაქტიკული კომპონენტი აქტიურად განხორციელდა როგორც კოლეჯის სასწავლო სივრცეში, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში. მაგალითად, პროგრამის „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ მსმენელებმა საწარმოო პრაქტიკა წარმატებით გაიარეს შპს „პრემიერა.ტმ.“-ში, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ რეალურ სამუშაო გარემოში განევითარებინათ პროფესიული უნარები.

ასევე, პროგრამების ფარგლებში რეგულარულად იმართებოდა ღია გაკვეთილები და პრაქტიკული დემონსტრაციები, რომლის დროსაც მსმენელები ადმინისტრაციისა და მოწვეული სტუმრების წინაშე წარმოადგენდნენ თავიანთ ნამუშევრებსა და მიღებულ ცოდნას. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, ხარისხის კონტროლსა და მსმენელთა მოტივაციის გაზრდას.

სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვა, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება და მუდმივი მონიტორინგი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების ხარისხიან განხორციელებას და კურსდამთავრებულთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

## III. ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯში ფუნქციონირებდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება უწყვეტი განვითარების ციკლს:

**დაგეგმვა → განხორციელება → შეფასება → გაუმჯობესება**

ორივე მიღების ფარგლებში, სწავლების და შეფასების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის მართვის სამსახურები სისტემატურად ახორციელებდნენ სალექციო საათებზე დასწრება-მონიტორინგს.

ასევე ჩატარდა მსმენელთა და პროგრამების განმახორციელებელთა კმაყოფილების კვლევა და მისი ანალიზი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მსმენელები და განმახორციელებლები დადებითად აფასებენ როგორც პროგრამების შინაარსს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებას. განსაკუთრებულად დადებითად შეფასდა პროგრამების განმახორციელებელთა პროფესიონალიზმი და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში.

აღნიშნული შედეგები მიუთითებს პროგრამების ეფექტიან განხორციელებასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებაზე.

## IV. პროფესიული ორიენტაცია და დასაქმება

2025 წელს ა(ა)იპ ახალმა პროფესიულმა კოლეჯმა აქტიურად განახორციელა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების ღონისძიებები. სასწავლო პროცესში ჩართულ მსმენელებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია არჩეული პროფესიის სპეციფიკის, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

პროგრამების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსმენელთა პროფესიულ კონსულტირებას, მათთვის პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდებასა და კარიერული განვითარების მიმართულებით მხარდაჭერას. ასევე გაიმართა საინფორმაციო ტრენინგები და შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა მსმენელთა მზადყოფნის გაზრდას პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად დაწყებისთვის.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების მიხედვით 2025 წელს შემდეგნაირად განისაზღვრა:

• **ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა** პროგრამა წარმატებით დაასრულა 14 მსმენელმა (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება). მათგან **5 კურსდამთავრებული დასაქმდა**, რაც შეადგენს დაახლოებით **35.7%-ს**. დასაქმებულთა ნაწილი საქმიანობას აგრძელებს სამკერვალო

საწარმოებში, ხოლო ნაწილი ჩართულია ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობაში, რაც ქმნის თვითდასაქმების რეალურ შესაძლებლობას.

• **მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი** პროგრამა დაასრულა **16 მსმენელმა**. მათგან **2 კურსდამთავრებული დასაქმდა**, რაც შეადგენს დაახლოებით **12.5%-ს**. აღსანიშნავია, რომ პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოქმედებითი და ხელნაკეთი პროდუქციის მიმართულებით, სადაც დასაქმება ხშირად დაკავშირებულია ინდივიდუალურ საქმიანობასა და მცირე სახელოსნოების შექმნასთან. მიუხედავად პროფესიის შემოქმედებითი და პრაქტიკული მნიშვნელობისა, ამ მიმართულებით დასაქმების შესაძლებლობები გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, საქმიანობის დამოუკიდებლად დაწყება ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს სპეციალური აღჭურვილობისა და ტექნიკის, მათ შორის მინის დასამუშავებელი ღუმელისა და შესაბამისი სამუშაო სივრცის შესაძენად.

• **ტიხრული მინანქრის ნაკეთობების დამზადება** პროგრამა დაასრულა **13 მსმენელმა**. მათგან **4 კურსდამთავრებული დასაქმდა**, რაც შეადგენს დაახლოებით **30.8%-ს**. დასაქმებულთა ნაწილი საქმიანობს ხელნაკეთი სამკაულებისა და დეკორატიული ნივთების შექმნის მიმართულებით. მინანქრის ხელოვნება წარმოადგენს მაღალ პროფესიულ უნარებსა და შემოქმედებითობასთან დაკავშირებულ სფეროს, თუმცა დასაქმების კუთხით აქაც არსებობს გარკვეული გამოწვევები. თვითდასაქმებისთვის აუცილებელია სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა, მათ შორის მინანქრის ღუმელი და შესაბამისი მასალები, რაც საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. მიუხედავად ამისა, კურსდამთავრებულთა ნაწილი წარმატებით ახორციელებს საქმიანობას ხელნაკეთი პროდუქციის შექმნისა და რეალიზაციის მიმართულებით.

• **ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი** პროგრამა დაასრულა **7 მსმენელმა**, რომელთაგან **5 კურსდამთავრებული დასაქმდა**, რაც შეადგენს დაახლოებით **71.4%-ს**. დასაქმებულები ჩართული არიან ტურისტული მომსახურების სფეროში, სადაც ისინი ახორციელებენ კულტურული და რელიგიური ტურების დაგეგმვასა და ჩატარებას. აღნიშნული მაჩვენებელი ადასტურებს პროგრამის შრომით ბაზარზე მაღალ მოთხოვნადობას.

• საქმისმწარმოებელი პროგრამა დაასრულა **11** მსმენელმა, რომელთაგან 6 კურსდამთავრებული დასაქმდა, რაც შეადგენს დაახლოებით **5.5 %-ს.**
დასაქმებულები საქმიანობენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ადმინისტრაციულ და საოფისე პოზიციებზე, სადაც გამოიყენებენ პროგრამის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და უნარებს.

2025 წელს პროფესიული მომზადების პროგრამების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსმენელთა სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებასა და თვითდასაქმებისთვის მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში პროფესიული პროგრამების მსმენელებისთვის გაიმართა სასწავლო-საინფორმაციო ტრენინგი თემაზე-**„მეწარმეობა და რეგულაციები“**, რომლის მიზანს წარმოადგენდა კურსდამთავრებულებისთვის მეწარმეობის ძირითადი საფუძვლებისა და პრაქტიკული უნარების გაცნობა.

ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- მეწარმეობის მნიშვნელობა პროფესიული მომზადების პროგრამის კონტექსტში;
- ბიზნესის სამართლებრივი ფორმები და რეგისტრაციის ეტაპები;
- ბიზნესის სახელის შერჩევის სპეციფიკა და სადამფუძნებლო დოკუმენტებთან მუშაობის პრინციპები;
- საგადასახადო ვალდებულებები და პირველადი დოკუმენტაციის წარმოება;
- ინვესტორებისა და პარტნიორების მოძიებისა და თანამშრომლობის გზები;
- ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ფორმები.

შეხვედრა ჩატარდა ინტერაქციულ ფორმატში, რაც მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას ემუშავათ პრაქტიკულ მაგალითებზე, განეხილათ რეალური ბიზნესსცენარები და მიეღოთ პასუხები მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე.

აღნიშნული აქტივობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსმენელთა მზადყოფნას პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად დაწყებისთვის, ზრდის მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს და აძლიერებს კოლეჯის პროგრამების შრომის ბაზარზე ორიენტირებულობას.

## V. ადამიანური რესურსების მართვა

2025 წელს ადამიანური რესურსების მართვა განხორციელდა კოლეჯის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი და პროგრამების განმახორციელებელი სპეციალისტები უზრუნველყოფდნენ სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, კოორდინაციასა და განხორციელებას. თითოეული პროგრამა ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მიერ, რომელთაც გააჩნიათ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. საანგარიშო პერიოდში პერსონალი აქტიურად იყო ჩართული პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიულ კონსულტაციებში, რაც მიზნად ისახავდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და თანამედროვე მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამების განმახორციელებელი პირები მუდმივად ახდენდნენ სასწავლო პროცესის შეფასებასა და გამოცდილების გაზიარებას, რაც ხელს უწყობდა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას და მსმენელთა საჭიროებებზე მეტად მორგებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა მნიშვნელოვანი ფაქტორია კოლეჯის ინსტიტუციური განვითარებისათვის, რადგან პროფესიონალი და მოტივირებული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას და მსმენელთა პროფესიული უნარების განვითარებას.

## VI. ადმინისტრაციული და მართვითი საქმიანობა

2025 წელს კოლეჯის ადმინისტრაციამ უზრუნველყო პროფესიული პროგრამების ეფექტიანი ადმინისტრირება და სასწავლო პროცესის უწყვეტი მხარდაჭერა. ადმინისტრაციული საქმიანობა მოიცავდა მსმენელთა მიღების პროცესის ორგანიზებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციას, სასწავლო დოკუმენტაციის წარმოებას და ანგარიშგების პროცესების განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სასწავლო პროცესის სისტემური მონიტორინგი, რაც მოიცავდა როგორც სასწავლო პროცესის დაკვირვებას, ასევე სწავლების ხარისხის შეფასებას. მონიტორინგის შედეგები გამოიყენებოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვას, მათ შორის სასწავლო გეგმების, შეფასების ფორმების, მსმენელთა რეგისტრაციისა და სხვა ადმინისტრაციული ჩანაწერების წარმოებას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფდა ორგანიზაციული საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

2025 წელს კოლეჯში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარება განხორციელდა პერსონალური მონაცემების დაცვისა და მართვის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა, დამტკიცდა და დაინერგა პერსონალური მონაცემების მართვის შიდა პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კოლეჯში დამუშავებული მონაცემების კანონიერ, გამჭვირვალე და უსაფრთხო დამუშავებას.

პოლიტიკის მიზანია:

- პერსონალური მონაცემების დაცვის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვა;
- მონაცემთა დამუშავების პროცესების სტანდარტიზაცია;
- მონაცემთა დამუშავების რისკების პრევენცია და მართვა.

დოკუმენტი არეგულირებს მონაცემთა შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გადაცემისა და არქივირების წესებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს და ადგენს მონაცემთა დაცვის შიდა კონტროლის მექანიზმებს.

პოლიტიკის დანერგვის ფარგლებში:

- ჩატარდა შიდა პროცედურების ანალიზი და არსებული პრაქტიკის შეფასება;
- განისაზღვრა მონაცემთა დამუშავების პროცესები ადმინისტრაციულ და სასწავლო მიმართულებებში;
- გაძლიერდა მონაცემთა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები.

აღნიშნული ნაბიჯი წარმოადგენს კოლეჯის ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს და უზრუნველყოფს როგორც ბენეფიციართა, ისე თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვას, კოლეჯის საქმიანობის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ შესაბამისობას.

გარდა ამისა, ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობდა პარტნიორ ორგანიზაციებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცესთან და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, რაც ხელს უწყობდა პროგრამების განვითარებასა და კოლეჯის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

## VII. მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის კოლეჯი უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯში ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა სახის ინვენტარი, მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა, რომლებიც გამოიყენებოდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების პროცესში.

პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო შესაბამისი სამუშაო ინვენტარი და სასწავლო მასალები, რაც მსმენელებს აძლევდა შესაძლებლობას რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში შეესრულებინათ პრაქტიკული დავალებები.

ხელოვნებისა და ხელნაკეთობების მიმართულების პროგრამებისთვის უზრუნველყოფილი იყო საჭირო მასალები და ტექნიკური აღჭურვილობა, რომლებიც გამოიყენებოდა პრაქტიკული უნარების განვითარებისა და პროფესიული კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

კოლეჯში ფუნქციონირებდა სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის საჭირო ძირითადი რესურსებით. აღნიშნული გარემო ქმნიდა შესაბამის პირობებს სასწავლო პროცესის ორგანიზებულად და ეფექტიანად წარმართვისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო ახალი ღობე. აღნიშნული სამუშაოს შედეგად:

- გაიზარდა კოლეჯის ტერიტორიის ფიზიკური უსაფრთხოება;
- უზრუნველყოფილ იქნა მსმენელების თანამშრომლებისა და ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილება;
- გაძლიერდა ტერიტორიული კონტროლი და ინფრასტრუქტურული დაცვის სისტემა.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა და მათი ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროფესიული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში და მსმენელთა პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

## VIII. შრომის უსაფრთხოება

2025 წელს კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. სასწავლო პროცესის დაწყებამდე მსმენელებს და პერსონალს მიეწოდებოდა ინფორმაცია უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების შესახებ, განსაკუთრებით იმ პროგრამებში, სადაც პრაქტიკული სამუშაოები მოითხოვს სპეციალური ინსტრუმენტებისა და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებას.

პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხოების ძირითადი წესების დაცვა, მათ შორის სამუშაო ინსტრუმენტების სწორად გამოყენება, სამუშაო სივრცის ორგანიზება და უსაფრთხოების ინსტრუქციების გათვალისწინება.

პერსონალი მუდმივად აკონტროლებდა პრაქტიკული სამუშაოების მიმდინარეობას, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო უსაფრთხო სამუშაო გარემო როგორც მსმენელებისთვის, ისე სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის.

საანგარიშო პერიოდში ახალი პროფესიული კოლეჯის თანამშრომლებისთვის, პროგრამების განმახორციელებელი პირებისა და საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღების მსმენელთათვის,

დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე- **„სახანძრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები“**.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა:

- სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების გაცნობა;
- საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების თანმიმდევრული წესების განმარტება;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების დეტალური განხილვა;
- პოტენციური რისკების პრევენცია და მათზე დროული რეაგირების უნარების გაძლიერება.

ტრენინგი ჩატარდა ინტერაქციული ფორმატით და მოიცავდა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ განმარტებებს. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ხანძრის პრევენციის, საევაკუაციო მარშრუტების, სახანძრო ინვენტარის გამოყენებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს კოლეჯში უსაფრთხო და დაცული სამუშაო-სასწავლო გარემოს ფორმირებას, თანამშრომლებისა და მსმენელების ცნობიერების ამაღლებას და საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის გაზრდას.

2025 წელს კოლეჯში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტი არ დაფიქსირებულა, რაც მიუთითებს უსაფრთხოების წესების ეფექტიან დაცვასა და შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფაზე.

## IX. პარტნიორობა და პროექტები

2025 წელს ა(ა)იპ „ახალმა პროფესიულმა კოლეჯმა“ აქტიურად განავითარა პარტნიორული ურთიერთობები და პროექტული საქმიანობა, რაც მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, პრაქტიკული სწავლების გაძლიერებასა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯის თანამშრომლობა სახელმწიფო უწყებებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან და კერძო სექტორთან მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის.

### პარტნიორობა „პროფესიული უნარების სააგენტოსთან“

2025 წელს, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფდა პროფესიული მომზადების პროგრამების მხარდაჭერასა და დაფინანსებას. აღნიშნული თანამშრომლობა ქმნის შესაძლებლობას პროფესიული პროგრამების

სისტემური და უწყვეტი განხორციელებისთვის, სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, ასევე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების შეთავაზებისთვის.

პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება ეფუძნება შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზს და პროფესიული განათლების ეროვნულ სტანდარტებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების პრაქტიკულ ორიენტაციას და ზრდის კურსდამთავრებულთა პროფესიულ კონკურენტუნარიანობას.

**თანამშრომლობა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან**

საანგარიშო პერიოდში, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან, რომლის ფარგლებში პროფესიული მომზადების პროგრამები ხორციელდებოდა პენიტენციურ დაწესებულებებში. აღნიშნული თანამშრომლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ-საგანმანათლებლო ინიციატივას, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა პროფესიული უნარების განვითარება, მათი რესოციალიზაციის ხელშეწყობა და მომავალში შრომით ბაზარზე ინტეგრაციის შესაძლებლობების გაზრდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული პროგრამები სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მოქმედ სტანდარტებს და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს. სწავლების პროცესში მონაწილეები ეუფლებიან კონკრეტულ პროფესიულ უნარებს, რაც მათ მომავალში დამოუკიდებელი საქმიანობის დაწყების ან დასაქმების შესაძლებლობას აძლევს.

**თანამშრომლობა კერძო სექტორთან და დარგობრივ პარტნიორებთან**

პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების ხარისხის გასაძლიერებლად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობდა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და დარგობრივ ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებისა და პროფესიული უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებისათვის.

პროფესიული მომზადების პროგრამის „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კერვა“ ფარგლებში მსმენელები საწარმოო პრაქტიკას გადიან პარტნიორ ორგანიზაციებში, მათ შორის შპს „პრემიერა ტ.მ“-ში. საწარმოო პრაქტიკის პროცესში მონაწილეები ეცნობიან ტანსაცმლის წარმოების სრულ ტექნოლოგიურ პროცესს, ჩართულნი არიან რეალურ სამუშაო ციკლში და პრაქტიკულად იყენებენ პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას.

პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მსმენელები ივითარებენ პროფესიულ უნარებს, სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის შესაძლებლობასა და გუნდურ მუშაობის გამოცდილებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი დასაქმების პოტენციალს.

### პარტნიორობის მნიშვნელობა

ზემოაღნიშნული პარტნიორული ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლეჯის ინსტიტუციური განვითარების პროცესში. სახელმწიფო უწყებებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობა ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული პროგრამების ხარისხიანი განხორციელებისთვის, ხელს უწყობს პრაქტიკული სწავლების გაძლიერებას და უზრუნველყოფს პროფესიული განათლების განვითარებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

პარტნიორულ ურთიერთობებზე დაფუძნებული მუშაობა კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას მუდმივად განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამები, დანერგოს თანამედროვე სწავლების მიდგომები და უზრუნველყოს პროფესიული განათლების მაღალი სტანდარტი.

### X. წლის ძირითადი მიღწევები

კოლეჯის საქმიანობა 2025 წელს სამი ძირითადი მიმართულებით განვითარდა:

- **სახელმწიფო სექტორი:** „პროფესიული უნარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით უზრუნველყოფილია პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა და მათი შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
- **სოციალური პასუხისმგებლობა:** მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების ცენტრთან პარტნიორობით, პროგრამები ხორციელდება პენიტენციურ დაწესებულებებში, რაც ხელს უწყობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას.
- **კერძო სექტორი:** პრაქტიკული სწავლების გასაძლიერებლად კოლეჯი თანამშრომლობს დარგობრივ კომპანიებთან (მაგ: შპს „პრემიერა ტ.მ“). სტუდენტები რეალურ სამუშაო გარემოში ეუფლებიან ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც ზრდის მათ დასაქმების შანსებს.

**2025 წელი კოლეჯისთვის წარმატებული აღმოჩნდა შემდეგი მაჩვენებლებით:**

- **პროგრამების ეფექტური მართვა:** წარმატებით განხორციელდა საპატრიარქოსა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომზადების პროგრამები.
- **ადმინისტრაციული გამართულობა:** რეფორმის ფარგლებში, ანგარიშგების პროცესი შეუფერხებლად გადავიდა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში **eFlow** სისტემის გამოყენებით.
- **მაღალი ნდობა და ხარისხი:** კურსდამთავრებულთა გამოკითხვამ აჩვენა მაღალი კმაყოფილება სწავლების ხარისხითა და პრაქტიკული კომპონენტით.

- **ფინანსური სტაბილურობა:** შენარჩუნდა მყარი მხარდაჭერა საქართველოს საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს მხრიდან, რაც სასწავლო პროცესის უწყვეტობის გარანტიაა.

**X1. დასკვნა**

**2025 წლის საქმიანობის შეჯამება**

- **სტანდარტების დაცვა და ხარისხი:** კოლეჯმა სრულყოფილად განახორციელა სასწავლო ციკლი — დაგეგმვიდან შეფასებამდე, რაც უზრუნველყოფდა პროფესიული განათლების მაღალ ხარისხსა და სტანდარტებთან შესაბამისობას.
- **პრაქტიკული ორიენტაცია:** სასწავლო გარემო ორიენტირებული იყო პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მთავარი წინაპირობაა.
- **გამჭვირვალე მართვა:** ეფექტიანად იმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებმა; ადმინისტრაციული და ფინანსური პროცესები წარიმართა გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულების სრული დაცვით.
- **პარტნიორობა და განვითარება:** გაფართოვდა თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, რამაც მყარი საფუძველი ჩაუყარა კოლეჯის შემდგომ ინსტიტუციურ გაძლიერებას.

2025 წლის საქმიანობამ დაადასტურა კოლეჯის ეფექტიანობა და შექმნა პლატფორმა მომავალ წლებში პროფესიული განათლების კიდევ უფრო მაღალი ხარისხით განვითარებისთვის.

## სხვა ღონისძიებები და და მოკლევადიანი აქტივობები

**1.საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინის წმინდა ნინოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის მცხოვრები ბავშვებისთვის დასვენების ორგანიზება**

ფონდმა „ლაზარემ“ განახორციელა მიკროპროექტი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მათი სოციალური ინტეგრაციისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

აღნიშნულმა აქტივობამ მოზარდებს მისცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ მათთვის ახალ და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოში, სადაც მათ შეძლეს სხვადასხვა პრაქტიკული და სოციალური უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მათში თვითრწმენის ამაღლებას, დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და მომავლისადმი პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებას.

მიკროპროექტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მოზარდების სოციალური უნარების განვითარებისთვის. მათ ისწავლეს გუნდური მუშაობა, ეფექტიანი კომუნიკაცია, პასუხისმგებლობის აღება და გადაწყვეტილებების მიღება, რაც მნიშვნელოვანია მათი შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მიკროპროექტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბავშვთა სახლის მოზარდი აღსაზრდელების გაძლიერებაში, ხელი შეუწყო მათ განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

**2.საქართველოს საპატრიარქოს ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებისა და პედაგოგების დასვენების ორგანიზება (საგანმანათლებლო ბანაკი)**

ფონდმა ლაზარემ განახორციელა საგანმანათლებლო ბანაკი, რომელშიც მონაწილეობდნენ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები და პედაგოგები. აღნიშნული აქტივობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და განვითარებით პროცესს, რომელმაც დადებითი გავლენა მოახდინა როგორც მოსწავლეებზე, ისე სკოლასა და მასწავლებლებზე.

მოსწავლეებისთვის ბანაკში მონაწილეობამ ხელი შეუწყო არაფორმალურ გარემოში ცოდნის გაღრმავებასა და ახალი უნარების განვითარებას. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, პრაქტიკულად გამოეყენებინათ თეორიული ცოდნა, განევითარებინათ კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და  უნარები. ბანაკის გარემომ გაზარდა მათი მოტივაცია სწავლების მიმართ, გააუმჯობესა თვითრწმენა და ხელი შეუწყო ახალი ინტერესების ჩამოყალიბებას.

სკოლისთვის აღნიშნული აქტივობა მნიშვნელოვანი იყო სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. ბანაკმა შექმნა შესაძლებლობა, რომ სკოლას დაენერგა თანამედროვე, ინოვაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები, რაც მომავალში დადებითად აისახა სასწავლო გარემოზე.

მასწავლებლებისთვის პროექტში მონაწილეობა მნიშვნელოვანი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა იყო. მათ გააზიარეს გამოცდილება, გაეცნენ სწავლების ახალ მეთოდებსა და პრაქტიკებს და მიიღეს დამატებითი უნარები არაფორმალური განათლების მიმართულებით. აღნიშნულმა პროცესმა გააძლიერა მათი პროფესიული კომპეტენციები, გაზარდა მოტივაცია და ხელი შეუწყო უფრო ეფექტიანი და ინოვაციური სწავლების დანერგვას ყოველდღიურ სასწავლო პროცესში.

### 3. ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციის მოვლა-პატრონობა

საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ ანგარიშგების პერიოდში ახორციელებდა ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციის სრულფასოვან მოვლა-პატრონობას, რომლის მიზანი იყო სივრცის მოწესრიგება და განვითარება  უსაფრთხო, კომფორტული და ფუნქციურად გამართული გარემოს შესაქმნელად, სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამშვიდობო პროექტების განსახორციელებისთვის.

აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა შენობის მიმდინარე ტექნიკური მოვლა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფრასტრუქტურის გამართულობას – მოწესრიგდა საცხოვრებელი და საერთო სივრცეები, განხორციელდა დაზიანებული ნაწილების აღდგენა, განახლდა კომუნიკაციები და გაუმჯობესდა სანიტარული პირობები. ეს საქმიანობა უზრუნველყოფდა როგორც მონაწილეთა უსაფრთხოებას, ასევე მათი კომფორტული ყოფნის პირობებს.

პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობდა ეზოს მოვლა და კეთილმოწყობა. განხორციელდა ტერიტორიის სისტემატური დასუფთავება, გამწვანება და ლანდშაფტური სამუშაოები, რომელიც დაზინებული იყო დიდთოვლობის შეფეგად, დაირგო სხვადასხვა მცენარე და მოეწყო სარეკრეაციო ზონები, ახალი საფეხბურთო სპორტული მოედანი, ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გარემოს ესთეტიკურ იერსახე.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდების მიღებისა და განთავსებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას. მოწესრიგდა საცხოვრებელი ოთახები, უზრუნველყოფილი იქნა ჰიგიენური სტანდარტების დაცვა, მომზადდა საერთო გამოყენების სივრცეები (სასადილო, საკონფერენციო და დასვენების ზონები), რაც ხელს უწყობდა მონაწილეთა სრულფასოვან ჩართულობას პროექტებში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად, ბობოყვათის რეზიდენცია ანგარიშგების პერიოდში ფუნქციონირებდა როგორც მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული სივრცე, რომელიც სრულად პასუხობდა ფონდის მიერ დაგეგმილი პროგრამებისა და აქტივობების საჭიროებებს და ქმნიდა ნაყოფიერ გარემოს ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის, დიალოგისა და ურთიერთგაგების გასაძლიერებლად.